

სსიპ-გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი
ელექტრონული ტენდერის საშუალებით (აუქციონის გარეშე) სამედიცინო მოწყობილობების CPV33100000
სახელმწიფო შესყიდვა სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №2
დაფინანსების წყარო - კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები

NAT190001056

ქ.გორი

25 იანვარი 2019 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ედუარდ თხილაიშვილი - სამედიცინო ხარისხის სამსახურის უფროსი;

კომისიის წევრი:

ნუგზარ ზარანდია - სამხედრო ჰოსპიტალის ფინანსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი.

კუკური გოცაძე - სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი სპეციალისტი (იურისტი).

აპარატის წევრები:

ეკატერინე ზერძენიშვილი - სამხედრო ჰოსპიტალის ფინანსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (შესყიდვები).

გვანცა შაშვიაშვილი - სამხედრო ჰოსპიტალის ფინანსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (შესყიდვები).

ლევან ხალიშვილი - უფროსი სპეციალისტი (შესყიდვები)

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარე:

ნოდარ ჩიმაკაძე - სამხედრო ჰოსპიტალის ადმინისტრაციის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. წინამოსამზადებელი სამუშაოს ანგარიშის განხილვა;
2. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
3. ტენდერის ჩატარებაზე განცხადების ტექსტის დამტკიცება.

მოისმინეს:

ტრავმატოლოგიური ენდოპროტეზების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში დაისვა კითხვები:

„24.01.2019 10:53 მიმწოდებელი2 ::

გამარჯობა.

გვაქვს კითხვა მენჯ-ბარძაყის უცემენტო ენდოპროტეზთან დაკავშირებით. მისაღები იქნება თუ არა, რომ ცვათიულების ტიპის ფეხის ნაცვლად შემოგთავაზოთ ბიკონტაქტის ტიპის ფეხი?

მადლობა.

24.01.2019 09:17 მიმწოდებელი1 ::

მოგესალმებით.

გთხოვთ გვიპასუხოთ შესაძლებელია თუ არა, პრეტენდენტმა წარმოადგინოს ნათარგმნი სერთიფიკატები, რაც დაადასტურებს რომ მოსაწოდებელი პროდუქცია შედის თქვენს მიერ მოთხოვნილი რეგისტრის სიაში.

პატივისცემით“

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია:

1. „მიმწოდებელი1“-ის კითხვასთან დაკავშირებით: თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციით- სერთიფიკატებით დადასტურდება, რომ შემოთავაზებული საქონელი არის სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთი რეესტრის პირველ ათეულში, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა მისაღებია.
2. „მიმწოდებელი2“-ის კითხვასთან დაკავშირებით: სატენდერო დოკუმენტაციის 2.9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აღნიშნული შემოთავაზება მისაღებია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შევიდეს ცვლილება სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1 მუხლის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„2. ვინაიდან ენდო იმპლანტები, შესულია მაღალი რისკის ჯგუფის სამედიცინო მოწყობილობების სიაში, რის გამოც მთელი მსოფლიოს მასშტაბით იმყოფებიან მაღალი კონტროლის მქონე რეგულაციების ქვეშ, რაც

კონტროლდება სპეციალიზირებული რეესტრების მეშვეობით. ჯანდაცვის სისტემის მიდგომა და მიზანი არის უზრუნველყოს ქვეყანაში უსაფრთხო და გრძელვადიანი იმპლანტების ხმარება. ორთოპედიული იმპლანტები მიეკუთვნება მაღალი კონტროლის ჯგუფს, რაც პროცედურულად მოიცავს რეესტრულ კონტროლს. პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული იმპლანტები უნდა შედიოდეს „Swedish Knee/Hip Arthroplasty Register (SKAR/SHAR)“, „National Joint Registry (NJR)“, „American Joint Replacement Registry (AJRR)“, „The Norwegian Arthroplasty Register“, „German Arthroplasty Register“ რეესტრების (ერთ-ერთში) პირველ ათეულში. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ბოლო ხელმისაწვდომი ელექტრონული წყაროდან (ელექტრონული მისამართის მითითებით ან/და ამონაბეჭდი ვებ გვერდიდან ან/და სერტიფიკატი) ინფორმაცია, შემოთავაზებული საქონლის ერთ-ერთ რეესტრში (პირველ ათეულში) რეგისტრაციასთან დაკავშირებით.“


დაადგინეს:


1. შევიდეს ცვლილება სატენდერო დოკუმენტაციაში და ჩამოყალიბდეს ზემოაღნიშნული რედაქციით.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება დამსწრე კომისიის წევრების ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

კომისიის წევრები:

აპარატის წევრები:

 /ე.თბილაიშვილი/

 /ნ.ნარანდია/

 /კ.კოდაძე/

 /ე.ბერძენიშვილი/

 /გ.შაშვიაშვილი/

 /ლ.ხაჩიშვილი/